განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად, სისხლის სამართლის პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენება აგრეთვე საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის გამო, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საგამონაკლისო ჩამონათვალში არ ფიგურირებს საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორია.

უცხო სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიას საკუთრივ საქართველოს ტერიტორიად არ მიიჩნევს საქართველოს არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. ამასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიხედვით, საქართველოს საელჩოებსა და საკონსულო დაწესებულებებს გააჩნია იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის მიმართ. ამდენად, თუ დანაშაული ჩადენილია ან სამართალწარმოება ხორციელდება უცხო სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე, ამასთან, არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა (საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოყენების შესახებ), შესაძლოა სამართლებრივი ვაკუუმი შეიქმნას.

გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გარკვეული სახის საპროცესო მოქმედებების მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში და დამატებითი ბიუროკრატიული მექანიზმების გარეშე ჩატარების აუცილებლობით, როდესაც ამას დასაშვებად მიიჩნევს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება და შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობა.

ამასთან, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „დაუშვებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ან პირის მსჯავრდება მის გადმოცემამდე რაიმე სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, გარდა იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენისთვისაც იგი საქართველოში იქნა ექსტრადირებული (სპეციალობის წესი)“. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამ წესიდან გადახვევა შესაძლებელია, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ექსტრადიციის განმახორციელებელი უცხო სახელმწიფოდან წინასწარ გამოითხოვს შესაბამის თანხმობას. ამასთან, საქართველოსათვის იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, სავალდებულოა, რომ თანხმობის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობას დაერთოს დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გამამტყუნებელი

სასამართლო გადაწყვეტილების და განაჩენის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი (მსჯავრდებულის შემთხვევაში), ან დაპატიმრების ორდერი ან იმავე ძალის მქონე სხვაგვარი ორდერი (ბრალდებულის შემთხვევაში). მეორე შემთხვევაში (პირთან მიმართებაში, რომლის მსჯავრდებაც ჯერ არ მომხდარა), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოთხოვნილი შინაარსის დოკუმენტს წარმოადგენს (1) სასამართლოს განჩინება პირისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ და (2) სასამართლოს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. რაც შეეხება განჩინებას პირისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ, მისი გამოტანის წინაპირობას ქართული კანონმდებლობით წარმოადგენს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება, რაც შეუძლებელია, ვინაიდან სწორედ ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით ხორციელდება უცხო სახელმწიფოსგან თანხმობის გამოთხოვა. შესაბამისად, თავისი არსით, „დაპატიმრების ორდერი ან იმავე ძალის მქონე სხვაგვარი ორდერი“, ქართული კანონმდებლობით, შეიძლება მხოლოდ იყოს სასამართლოს განჩინება პირის დაკავების თაობაზე, რომელიც თან უნდა დაერთოს უცხო სახელმწიფოში გასაგზავნ შუამდგომლობას, რომლითაც მოთხოვნილი იქნება თანხმობის გაცემა ექსტრადირებული პირის მიმართ ექსტრადირებამდე ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების თაობაზე. ამისათვის კი საჭიროა, განხორციელდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლში და შესაძლებელი გახდეს სასამართლოს განჩინების მოპოვება დაკავების შესახებ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე. ეს თავის მხრივ საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხო სახელწიფოდან გამოითხოვონ თანხმობა, რათა ექსტრადირებული პირის მიმართ შესაძლებელი გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც მისი მანამდე საქართველოსათვის გადმოცემა არ განხორციელებულა.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლით ასევე ზუსტდება დაკავების საფუძვლები. კერძოდ, გარდა კანონის ამჟამად მოქმედ რედაქციაში გაწერილი საფუძვლებისა, მას ემატება ის შემთხვევები, როდესაც პირის დაკავება დასაშვებია ,,სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა, რომლის შემდეგაც საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს შესაძლებლობა მიეცემათ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე ჩაატარონ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიზანია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჰარმონიზაცია საქართველოსთვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, ასევე - „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებასთან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებათა შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს ემატება 5[1] ნაწილი, რომლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონპროექტის მიხედვით, ფართოვდება იმ პირთა წრე, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო დაცვას. კერძოდ, სხვა გარემოებების არსებობასთან ერთად, სავალდებულო ხდება პირს ჰყავდეს ადვოკატი, თუ განიხილება გამარტივებული პროცედურის გამოყენებით მისი უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი. აღნიშნული ცვლილების აუცილებლობა გამომდინარეობს „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მესამე დამატებითი ოქმთან საქართველოს მიერთებიდან და ასევე, აღნიშნულის გამო „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანის აუცილებლობიდან. კერძოდ, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტში გათვალისწინებულია გამარტივებული პროცედურების გამოყენებით პირის ექსტრადიციის შესაძლებლობა, რა დროსაც აუცილებელია პირმა მიიღოს სათანადო კვალიფიციური იურიდიული დახმარება და თავისი პროცედურული უფლებების რეალიზება შეძლოს ადვოკატის თანდასწრებით.

კანონპროექტის თანახმად, შესაძლებელი ხდება დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირი, მისი პირდაპირი და აშკარა თანხმობით, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გამოიკითხოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი წესით გამოკითხვა დაშვებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართლით ან/და ამ სახელმწიფოს ნათლად ჩამოყალიბებული პრაქტიკით. ყოფილა შემთხვევები, როდესაც პირს სურდა საქართველოს შესაბამისი საგამოძიებო ორგანოებისათვის ნებაყოფლობით ჩვენების მიცემა, მაგრამ, წინამდებარე პროექტით შემოთავაზებული მექანიზმის არარსებობის გამო, ჩვენების მოპოვება მომხდარა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, დროში შედარებით ხანგრძლივი პროცედურების განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას უცხო სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვით.

კანონპროექტით ასევე შესაძლებელი ხდება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით, უცხო სახელმწიფოს სამართლით ან/და ამ სახელმწიფოს ნათლად ჩამოყალიბებული პრაქტიკით დაშვებულ შემთხვევებში, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ან რეგისტრირებული პირისგან ნებაყოფლობით მოპოვებული იქნეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი კომპიუტერული მონაცემი ან დოკუმენტი.

აღნიშნული ნორმა, ისევე, როგორც წინამდებარე კანონპროექტით გათვალისწინებული სხვა ცვლილებები, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან. შემოთავაზებული წესი იძლევა არა მხოლოდ მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის, არამედ სხვა ტიპის მონაცემების გამოთხოვის შესაძლებლობასაც. მხედველობაშია მისაღები ბევრი

სერვის-პროვაიდერის მიერ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად, ჩვეულებრივ გარემოებებში ინტერნეტ ტრეფიკის მონაცემების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას - ასევე შინაარსობრივი მონაცემების, გაცემის შესაძლებლობაც. ამასთან, სერვის-პროვაიდერების უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან პირდაპირი თანამშრომლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს ასევე, მაგალითად, აშშ-სა და ირლანდიის კანონმდებლობაც, სადაც მსოფლიოს დიდი სერვის-პროვაიდერები არიან დაფუძნებული. ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს როგორც სერვის-პროვაიდერებისაგან, ასევე სხვა პირების მიერ ინფორმაციის/მონაცემების მოპოვების შესაძლებლობას. ამდენად, შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მიერთებით და უცხო ქვეყნებთან შეთანხმებით, საქართველო შეძლებს ამ შესაძლებლობის გამოყენებას და კანონმდებლობის ეს ნაწილი კარგი საწყისი იქნება ამ მიმართულებით.

საბოლოოდ, კანონპროექტის თანახმად, კომპიუტერული მონაცემების ან დოკუმენტის ამდაგვარი სახით მოპოვება შესაძლებელი გახდება მისი მომწოდებლის თანხმობის შემთხვევაში, თუ კომპიუტერული მონაცემის ან დოკუმენტის ამდაგვარი მოწოდება გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, შესაბამისი უცხო სახელმწიფოს სამართლით ან ნათლად ჩამოყალიბებული პრაქტიკით. ამასთან, ამდაგვარი თხოვნების გაგზავნა განხორციელდება საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პროკურორის/პროკურორების მიერ, რათა მიმართვების ხარისხი იყოს მაღალი, ერთგვაროვან მიდგომებზე დაფუძნებული და თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი უხერხულობა უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობის ჭრილში.

ზემომითითებული შემთხვევის მსგავსად, კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ექსპერტიზის ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ ამას დასაშვებად მიიჩნევს შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობა.

კანონპროექტით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის (დაკავების საფუძველი) პირველი ნაწილით განსაზღვრულ პირის დაკავების საფუძვლებს ემატება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასთან დაკავშირებით ექსტრადირების განმახორციელებელი უცხო სახელმწიფოსგან თანხმობის გამოთხოვის საჭიროება, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე.

ამასთან, ვინაიდან „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განისაზღვრება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ძებნილ პირთა დაკავების საფუძვლები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილს ემატება შესაბამისი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლითაც სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების შესაძლებლობად მიიჩნევა ასევე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანოპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება ნაწილობრივ გამომდინარეობს 2014 წლის 14 აპრილს საქართველოს მიერ ხელმოწერილი 2010 წლის 10 ნოემბრის „ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მესამე დამატებითი ოქმით“ განსაზღვრული ვალდებულებებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.